

«1C ERP სტანდარტი» ფუნქციონალური შესაძლებლობები



აღრიცხვა

კონტროლი

ანალიზი

დაგეგმვა

პროდუქტის ზოგადი მიმოხილვა

«1C ERP სტანდარტი» წარმოადგენს ერთიან პროგრამულ გადაწყვეტილებას, რომელიც განკუთვნილია კომპანიაში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის ბიზნეს-პროცესის ეფექტურად მართვისა და ავტომატიზაციისათვის.

პროგრამული გადაწყვეტილება მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- წარმოება
- საწყობი და მარაგები
- გაყიდვები
- შესყიდვები
- დისტრიბუცია
- ფინანსები
- ბიუჯეტირება
- CRM
- HR
- Rs.ge

შესყიდვები და საწყობი

■ აღრიცხვა

- სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვა, ერთდროულად სხვადასხვა განზომილებების ერთეულების, სხვადასხვა საწყობების, პარტიებისა და მახასიათებლების მიხედვით.
- მომწოდებლების, ხელშეკრულებების, საკონტაქტო პირებისა და მოვლენების ბაზების წარმოება.
- მომწოდებლებთან შეკვეთების ფორმირება.
- შესყიდვების აღრიცხვა მომწოდებლების, შეკვეთების და სასაქონლო პოზიციების ჭრილში.
- ინვენტარიზაციის აქტების, შემოსავლისა და შიდა გადაადგილების ზედნადებების ფორმირება და მათი ატვირთვა შემოსავლების სამსახურის პორტალზე (RS.ge).
- სასაქონლო მარაგების მიღების განსხვავებული სქემების აღრიცხვა.
- მარაგების თვითღირებულებების გაანგარიშება FIFO და საშუალო შეწონილი მეთოდებით.
- დამატებითი დანახარჯების აღრიცხვა საქონლის შეძენაზე, შენახვაზე, გადაზიდვაზე და სხვა.

შესყიდვები და საწყობი

▪ კონტროლი

- საწყობებში მარაგების ნაშთების კონტროლი.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დანაკლისების კონტროლი (Reorder Levels).
- მომწოდებელთა შეკვეთების შესრულების კონტროლი.
- მესამე მხარისგან მიღებული მარაგების კონტროლი.
- მესამე მხარეზე გადაცემული მარაგების კონტროლი.

▪ ანალიზი

- მომწოდებელთა შეკვეთების შესრულების ანალიზი.
- შესყიდვების ანალიზი მომწოდებლების, შეკვეთების და სასაქონლო პოზიციების ჭრილში.

▪ დაგეგმვა

- მარაგების მოთხოვნების გაანგარიშება.
- შესყიდვების გრაფიკების ფორმირება.
- საწყობებში მარაგების რეზერვირება საწარმოო შეკვეთების, მყიდველთა შეკვეთებისა და შესყიდვების გრაფიკის საფუძვლებზე.

წარმოება

■ აღრიცხვა

- წარმოების აღრიცხვა შეკვეთების მიხედვით.
- სპეციფიკაციების (რეცეპტების) შენახვა დასამზადებელ ნაწარმზე, როგორც მაკომპლექტებელი მასალების შემადგენლობაზე, ასევე ტექნოლოგიური ოპერაციების დონეზე.
- საწარმოო შეკვეთების რეგისტრაცია, მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების გამოშვების აღრიცხვა.
- პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ქვეგანყოფილებებზე გადაცემა საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის ფარგლებში.
- მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების გადაცემა საწყობებზე საბოლოო რეალიზაციის ან შენახვის მიზნით.
- მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაზე დახარჯული პირდაპირი და ირიბი დანახარჯების აღრიცხვა.
- მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ფაქტობრივი თვითღირებულების გაანგარიშება.

წარმოება

■ კონტროლი

- მასალების ხარჯვების კონტროლი.
- მუშა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოების კონტროლი.

■ ანალიზი

- საწარმოო შეკვეთების შესრულების კონტროლი.
- სანარდო განაწესების შესრულების კონტროლი.

■ დაგეგმვა

- პროდუქციის წარმოების კალენდარული გრაფიკის ფორმირება.
- საწარმოო შეკვეთების ფორმირება.
- მუშების სანარდო განაწესების და ტაბელების ფორმირება.
- მასალების ხარჯვის გაანგარიშება.
- პირდაპირი და ირიბი დანახარჯების დაგეგმვა.
- კომპანიის რესურსების დატვირთვის დაგეგმვა.

გაყიდვები

■ აღრიცხვა

- კლიენტების, ხელშეკრულებების, საკონტაქტო პირებისა და მოვლენების ბაზების წარმოება.
- მყიდველთა შეკვეთების წარმოება.
- შეკვეთების პროექტებად გაერთიანება.
- საქონლის ნომენკლატურის (სასაქონლო სიების) რეგისტრაცია და შენახვა
- ფასების სიების წარმოება.
- სხვადასხვა სახის ფასდაკლების აღრიცხვა.
- სასაქონლო მარაგების გაყიდვების აღრიცხვა საწყობიდან შეკვეთის საფუძველზე, კონსიგნაციით ან წინასწარი გადახდით.
- კომისიონერზე გადაცემული მარაგების გაყიდვების აღრიცხვა.
- საცალო გაყიდვები და შესაბამისი მოწყობილობების ინტეგრაცია.
- სასაქონლო ზედნადებების, ანგარიშფაქტურების ფორმირება და შემოსავლების სამსახურის პორტალზე (RS.ge) ავტომატური ატვირთვა.
- კლიენტების შეკვეთების მიხედვით სასაქონლო მარაგების რეზერვირება.

გაყიდვები

■ კონტროლი

- მყიდველების შეკვეთების შესრულების კონტროლი.
- გაყიდვების გეგმების შესრულების კონტროლი, სასაქონლო პოზიციების, ქვეგანყოფილებების და პასუხისმგებელი მენეჯერების ჭრილში.
- საქონლის გადატვირთვების გრაფიკების შესრულების კონტროლი.

■ ანალიზი

- გაყიდვების ანალიზი სასაქონლო პოზიციების, ქვეგანყოფილებების და პასუხისმგებელი მენეჯერების ჭრილში.
- დაგეგმილი და ფაქტობრივი გაყიდვების შედარებითი ანალიზი.

■ დაგეგმვა

- გაყიდვების დაგეგმვა თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.
- გაყიდვების დაგეგმვა ცალკეული სასაქონლო პოზიციების ჭრილში.
- სასაქონლო მარაგების მიწოდების გრაფიკების ფორმირება.
- გაყიდვებიდან შემოსავლების მიღების დაგეგმვა მოგება-ზარალის ბიუჯეტის ფორმირებისთვის.

დისტრიბუცია

■ აღრიცხვა

- სავაჭრო წერტილების, საკონტაქტო პირებისა და მოვლენების ბაზების წარმოება.
- სავაჭრო წერტილების მიერ გაკეთებული შეკვეთების წარმოება.
- შეკვეთების აღრიცხვა სავაჭრო წარმომადგენლების მიხედვით.
- სავაჭრო წერტილებში სავაჭრო წარმომადგენლების ვიზიტების აღრიცხვა.
- მიღებული თანხების აღრიცხვა.
- დასაბრუნებელი პროდუქციის აღრიცხვა.
- კლიენტების შეკვეთების მიხედვით სასაქონლო მარაგების რეზერვირება.
- მობილური მოწყობილობების მხარდაჭერა.

■ ანალიზი

- გაყიდვების ანალიზი სასაქონლო პოზიციების, ქვეგანყოფილებების და პასუხისმგებელი მენეჯერების კრილში.
- დაგეგმილი და ფაქტობრივი გაყიდვების შედარებითი ანალიზი.

დისტრიბუცია

■ კონტროლი

- მყიდველების შეკვეთების შერულების კონტროლი.
- გაყიდვების გეგმების შესრულების კონტროლი, სასაქონლო პოზიციების, ქვეგანყოფილებების და პასუხისმგებელი მენეჯერების ჭრილში.
- საქონლის გადატვირთვების გრაფიკების შესრულების კონტროლი.

■ დაგეგმვა

- გაყიდვების დაგეგმვა - თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით, როგორც მთლიანი კომპანიის ასევე ქვეგანყოფილებების დონეზე.
- გაყიდვების დაგეგმვა ცალკეული სასაქონლო პოზიციების ჭრილში.
- გაყიდვების დაგეგმვა სავაჭრო წარმომადგენლების მიხედვით.

ფულადი სახსრები

■ აღრიცხვა

- ფულადი სახსრების აღრიცხვა საბანკო ანგარიშებსა და კომპანიის სალაროებში.
- დოკუმენტების ფორმირება (საგადასახადო დავალებები, სალაროს ორდერები, საავანსო ანგარიშები, ხელფასის საგადახდო უწყისები და ა.შ.).

■ კონტროლი

- ფულადი სახსრების ნაშთების კონტროლი სალაროებსა და საბანკო ანგარიშებზე.

■ ანალიზი

- ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი მათი წარმომავლობისა და ხარჯვების მიმართულებების მიხედვით.

■ დაგეგმვა

- შემოსავლებისა და გასავლების ოპერატიული დაგეგმვა.
- ფულადი სახსრების ბიუჯეტების ფორმირება მათი ხარჯვების საერთო სურათის განსაზღვრისა და რაციონალური ათვისებისათვის.

ანგარიშსწორებები

■ აღრიცხვა

- ანგარიშსწორებების აღრიცხვა მყიდველებთან და დამკვეთებთან, მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან, საგადასახადოსთან და კომპანიის თანამშრომლებთან, საქვენგარიშო პირებთან და ა.შ.

■ კონტროლი

- დავალიანებებისა და ავანსების კონტროლი მყიდველებთან და დამკვეთებთან, მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან, საგადასახადოსთან და კომპანიის თანამშრომლებთან, საქვენგარიშო პირებთან და ა.შ.

■ ანალიზი

- დავალიანებების სტრუქტურისა და ხანდაზმულობის ანალიზი-ჯამური დავალიანება, ვადაგადაცილებული და ა.შ.

■ დაგეგმვა

- მყიდველებიდან და დამკვეთებიდან თანხების მიღების დაგეგმვა, ასევე, მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან ანგარიშსწორებების დაგეგმვა.

კადრების მართვა და ხელფასების გაანგარიშება

■ აღრიცხვა

- ხელფასის გაანგარიშება.
- დარიცხვისა და დაკავებების სხვადახვა ტიპების წარმოება.
- სამუშაო დროის აღრიცხვა.
- ხელფასის დარიცხვა შესრულებული სამუშაოსა და დროითი სისტემების მიხედვით.
- სანარდო განაწესების რეგისტრაცია.
- დარიცხვის გაანგარიშებისათვის საჭირო ფორმულების აწყობა (ბონუსების სისტემა), საგადახდო უწყისების ფორმირება თანამშრომლებზე ხელფასებისა და ავანსების გაცემისას.
- საკადრო აღრიცხვა - სამუშაოზე მიღებების, საკადრო გაადაადგილებების, დათხოვნისა და სხვა დოკუმენტების გაფორმება.
- თანამშრომლებზე და მათ სამუშაო პირობებზე ინფორმაციის შენახვა
- სამუშაო დავალებების ფორმირება.

კადრების მართვა და ხელფასების გაანგარიშება

■ კონტროლი

- თანამშრომლებთან ანგარიშსწორებების კონტროლი.
- დავალებების შესრულების კონტროლი.
- სანარდო განაწესების კონტროლი.

■ ანალიზი

- სამუშაო დავალებების შესრულების ანალიზი.
- თანამშრომელთა მიერ კონკრეტულ სამუშაოზე დახარჯული დროის ანალიზი.
- სანარდო განაწესების შესრულების ანალიზი.
- პერსონალის მუშაობის გეგმა-ფაქტობრივი ანალიზი.

■ დაგეგმვა

- საშტატო განრიგის ფორმირება.
- თანამშრომელთა დატვირთულობის დაგეგმვა.
- სამუშაოს ანაზღაურების დაგეგმვა.

შემოსავლების სამსახურის პორტალი (RS.ge)

პროგრამა მთლიანად ინტეგრირებულია შემოსავლების სამსახურის პორტალთან, თითქმის ყველა ოპერაცია სრულდება პროგრამაში და შემდეგ ავტომატურად სინქრონიზირდება RS.ge - ს საიტთან, მათ შორის:

- რეალიზაციისას ელექტრონული ზედნადებების გამოწერა, საიტზე ატვირთვა/გააქტიურება
- შიდა გადაადგილებისას ელექტრონული ზედნადებების გამოწერა, საიტზე ატვირთვა/გააქტიურება
- შესყიდვებისას გამოწერილი ელექტრონული ზედნადებების ჩამოტვირთვა და მის საფუძველზე ბუღალტრული გატარებების ავტომატური გენერირება
- გამოწერილი ანგარიშფაქტურების ჩამოტვირთვა პროგრამაში და მის საფუძველზე შესაბამისი გატარებების ავტომატური გენერირება
- რეალიზაციის ანგარიშფაქტურების გამოწერა, საიტზე ატვირთვა/გააქტიურება
- საიდენტიფიკაციო კოდის საფუძველზე კონტრაგენტის რეკვიზიტების (იურიდიული დასახელება, მისამართი და ა.შ.) პროგრამაში სინქრონიზაცია



ძირითადი საშუალებები

■ აღრიცხვა

- ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია.
- ძირითადი საშუალებების საწყობიდან აღრიცხვაზე აყვანა.
- ძირითადი საშუალებების მოძრაობის აღრიცხვა კომპანიის ქვეგანყოფილებებს/დეპარტამენტებს შორის.
- ძირითადი საშუალებების ჩამოწერა.
- ამორტიზაციის ავტომატური დარიცხვა, შემდეგი მეთოდებით:
 - წრფივი
 - ჯგუფის ნარჩენი ღირებულებითი ბალანსი
 - ფაქტიური მაჩვენებელი
- საინვენტარო ნომრების ავტომატური გენერირება.
- არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებები

■ კონტროლი და ანალიზი

- ინვენტარიზაციების ჩატარება.

- დარიცხული ამორტიზაციის ანალიზი ჯგუფის თითოეული ერთეულის ჭრილში.

■ დაგეგმვა

- ძირითადი საშუალებების შესყიდვების ბიუჯეტების ფორმირება.

- ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების დაგეგმვა.

შემოსავლები და ხარჯები, მოგება-ზარალი

■ აღრიცხვა

- შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა - საქმიანობის მიმართულებების, ქვეგანყოფილებების, პროექტებისა და შეკვეთების ჭრილში.
- ზედნადები და ადმინისტრაციული დანახარჯების აღრიცხვა - საქმიანობის მიმართულებების, ქვეგანყოფილებების, პროექტებისა და შეკვეთების ჭრილში.
- რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებულების გაანგარიშება, ზედნადები ხარჯების გადანაწილება.

■ კონტროლი

- მოგება-ზარალის ანგარიშგება (ფინანსური შედეგი).

■ ანალიზი

- ფინანსური შედეგის ანალიზი საქმიანობის მიმართულებების, ქვეგანყოფილებების, პროექტებისა და შეკვეთების ჭრილში.

■ დაგეგმვა

- შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების დაგეგმვა.
- პირდაპირი და ზედნადები დანახარჯების დაგეგმვა.
- შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტების ფორმირება.

ძირითადი მაჩვენებლების მონიტორი

პროგრამაში ჩართულია ოთხი ძირითადი მონიტორი:

- **საქმიანობის საერთო მაჩვენებლები**

მონიტორი აჩვენებს შემდეგ მაჩვენებლებს: გაყიდვები, შემოსავლები და ხარჯები, საბრუნავი საშუალებების მდგომარეობა (ფულადი სახსრები, მარაგები და დებიტორული დავალიანებები).

- **ფულადი სახსრები**


ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაშთებსა და მოძრაობაზე გარკვეული პერიოდის მიხედვით.

- **მყიდველებთან ანგარიშსწორებები**

ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების ნაშთებსა და დინამიკაზე გარკვეული პერიოდის მიხედვით, ვადაგადაცილებული მოთხოვნები და ა.შ.

- **მომწოდებლებთან ანგარიშსწორებები**

ფაქტიური ინფორმაცია კრედიტორული დავალიანებების ნაშთებსა და დინამიკაზე გარკვეული პერიოდის მიხედვით, ვადაგადაცილებულ ვალდებულებებზე და ა.შ.



ფინანსური დაგეგმვა (ბიუჯეტირება)

- ფინანსური დაგეგმვის ნაწილში პროგრამაში შესაძლებელია:
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტის ფორმირება.
 - პირდაპირი და ირიბი დანახარჯების დაგეგმვა.
 - შემოსავლების, ფინანსური შედეგის დაგეგმვა.
- ფინანსური გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:
 - საწყისი ნაშთები და დაგეგმვის პერიოდი.
 - პირდაპირი დანახარჯების ბიუჯეტი.
 - ზედნადები დანახარჯების ბიუჯეტი.
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი.
 - შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტი.
 - სხვა გეგმიური ოპერაციები.
- შეტანილი გეგმიური მონაცემების საფუძველზე ფორმირდება სამი ძირითადი ბიუჯეტი:
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი,
 - მოგება-ზარალის ბიუჯეტი
 - დაგეგმილი საბალანსო უწყისი
- ფინანსური დაგეგმვა ფინანსური მიზნების დასახვისა და დაფიქსირების საშუალებას იძლევა, რაც ამ მიზნების მისაღწევად რესურსების განაწილებისათვის აუცილებელი პირობაა.

ტრენინგი და სერტიფიცირება

Rossoft დამკვეთ კომპანიებსა და ინდივიდუალურ პირებს სთავაზობს ტრენინგსა და სერტიფიცირებას Rossoft Training Centre-ში, რომელსაც 1C-ის მიერ სერტიფიცირებული ტრენერები უძღვებიან.

ტრენინგი მოიცავს პროგრამის სრულად ათვისებასა და სასწავლო მასალით უზრუნველყოფას, რაც მსმენელს ეხმარება ეფექტურად და მარტივად წარმართოს თავისი საქმიანობა.

ტრენინგის დასრულების შემდეგ ტარდება ტესტირება, რის შედეგადაც მსმენელს ენიჭება სერტიფიკატი.

დანერგვის პროცესი

ტრენინგის დასრულების შემდეგ Rossoft-ის მხრიდან ხდება კლიენტი კომპანიის საქმიანობისა და სამუშაო პროცესების დეტალური შესწავლა, რის შემდეგაც დამკვეთი კომპანიის წარმომადგენლისა და პროექტის მენეჯერის შეთანხმებით დგინდება პროექტის გეგმა. გეგმა მოიცავს სისტემის ასამუშავებლად ყველა საჭირო ნაბიჯს.

პროექტის გეგმის შეთანხმების შემდეგ იწყება დანერგვის სამუშაოები. დანერგვის პროექტის მართვა ხორციელდება “ERP” სისტემების დანერგვის სტანდარტული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რომელსაც წარმართავს პროექტის მენეჯერი კონსულტანტების დახმარებით.

მენეჯერი უზრუნველყოფს პროექტის ვადების და შესასრულებელი სამუშაოების კონტროლს, ანაწილებს სამუშაოს კონსულტანტებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია პროგრამირების სამუშაოები, მენეჯერი ამოწმებს ჩამოყალიბებულ ამოცანებს და აკონტროლებს პროგრამირების სამუშაოების შესრულების ვადებს.

ტექნიკური მხარდაჭერა

- პლატფორმის განახლებები - კომპანია „1C“ ეტაპობრივად ახდენს საკუთარი პლატფორმების განახლებას, რაც ავტომატურად გულისხმობს Rossoft-ის მიერ კლიენტების პროგრამის განახლებულ ვერსიაზე გადაყვანას.
- კონფიგურაციის განახლებები - კომპანია „1C“ სისტემატიურად ანახლებს და ავითარებს საკუთარ კონფიგურაციებს, კომპანია Rossoft კი უზრუნველყოფს კონფიგურაციის უახლესი ვერსიის კლიენტებისათვის მიწოდებას.
- ლოკალიზაციის პაკეტის განახლებები - Rossoft სისტემატიურად უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტის განახლებებს საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად.
- დისტანციური მხარდაჭერა - გულისხმობს სისტემის კონსულტანტის მიერ ტექნიკური მხარდაჭერის გაწევას 1C Connect-ის მეშვეობით. აღნიშნული მომსახურება საუკეთესო გადაწყვეტილებაა Rossoft-ის პროგრამულ პროდუქტებთან დაკავშირებით საჭირო კონსულტაციების ოპერატიულ რეჟიმში მისაღებად.

საკონტაქტო ინფორმაცია



+995 32 2 23 83 89



info@rossoft.ge



www.rossoft.ge



<https://www.facebook.com/rossoft/>